ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №91

24.09.2021 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ლევან ჯაფარიძე (კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ერეკლე კუხიანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ვახტანგ შაქარიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. დავით ჭელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ჯაბა ჯიშკარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ლევან ჯაფარიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის

№2-1 დადგენილების მუხლი 30), გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 9 სექტემბრის №12-03212526-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 16 სექტემბრის №12-032125922-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 20 სექტემბრის №12-032126324 -03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 23 სექტემბრის №12-032126621-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 9 სექტემბრის №12-03212526-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ზაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ზაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 8 სექტემბრის №21.1235.1397 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №01212441659-67(№01211972339-67); №01212442622-67(№0121228809-67) და 1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის

იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01212441659-67(№01211972339-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.13.033.057) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს ამბულატორიის მშენებლობა წარმოადგენს, რაც განაშენიანების დასაშვები სახეობაა სპეციალური ზონა 1-ისთვის (სპეცზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 11 აგვისტოს №01212232743 წერილის მიხედვით, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

ვინაიდან, ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და „მწვანე ქალაქის“ კონცეფციით განსაზღვრული ამოცანების შესრულების მიზნით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სარეკრეაციო სივრცეების შენარჩუნება და დაცვა, ასევე, ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შემცირება ქალაქის მდგრადი განვითარების აუცილებელ მინიმუმამდე, სამსახურს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.13.033.057) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია **ამბულატორიის მშენებლობის პირობით.**

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01212442622-67(№0121228809-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქუჩა №31-ში და ვანის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.13.06.002.077, №01.13.06.002.076) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

ვინაიდან, №01.13.06.002.077 და №01.13.06.002.076 საკადასტრო ერთეულებს ემიჯნება ხაზობრივი ნაგებობა - რკინიგზა, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მოთხოვნილ იქნა სს „საქართველოს რკინიგზის“ პოზიცია ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, რაზეც 2021 წლის 27 აგვისტოს №4072 წერილით ფუნქციური ზონის ცვლილებისა და სამომავლოდ სამრეწველო დანიშნულების ობიექტების მოწყობის საკითხთან დაკავშირებით დაფიქსირდა დადებითი პოზიცია. თუმცა, ვინაიდან, განსავითარებელი ტერიტორია ესაზღვრება რკინიგზის კომუნიკაციებს,

სამუშაოების დაწყებამდე, აუცილებელია მშენებლობის საკითხი განხილულ იქნას სს „საქართველოს რკინიგზაში“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2021 წლის 2 სექტემბრის №01212451067 წერილის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, ლევან რაზიკაშვილის ქუჩა №33-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.22.006.089) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სკვერის მოწყობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 7 სექტემბრის №18-01212503127 წერილის მიხედვით, თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, 2021 წლის 7 სექტემბრის №61-01212503102 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ №01.19.22.006.089 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ სივრცეს, მოქმედი ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 2 შეეცვალოს სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1), შემდგომში, მასზე სკვერის მოწყობის მიზნით.

**აზრი გამოთქვა:**

**ბ-ნმა რ. სოხაძემ** - ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, ქალაქ თბილისში, ლევან რაზიკაშვილის ქუჩა №33-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.22.006.089) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილი საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილების საკითხის, დამატებითი შესწავლის მიზნით, განხილვის გადადების მიზანშეწონილობის თაობაზე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივის** განხილვის გადადება დამატებითი

შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01212441659-67(№01211972339-67) და №01212442622-67(№0121228809-67) განცხადებებთან (სულ: 2 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. გადადებულ იქნას:

   - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ქალაქ თბილისში, ლევან რაზიკაშვილის ქუჩა №33-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.22.006.089) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილი საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილების საკითხის განხილვა.

2. რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 9 სექტემბრის №12-03212526-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01212441659-67(№01211972339-67) და №01212442622-67(№0121228809-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

1. გადადებულ იქნას:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ქალაქ თბილისში, ლევან რაზიკაშვილის ქუჩა №33-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.22.006.089) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილი საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილების საკითხის განხილვა.

2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 9 სექტემბრის №12-03212526-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01212441659-67(№01211972339-67) და №01212442622-67(№0121228809-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 16 სექტემბრის №12-032125922-03 წერილი)

**დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ზაგაშვილმა.**

მომხსენებლის (ნ. ზაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 15 სექტემბრის №21.1280.1459 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის

სახით (სულ: 3 წინადადება - №01212172195-67; №01212491072-67; №01212573511-67 (№01212372328-67)).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01212172195-67** განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ნაკ. ფიროსმანის ქუჩა №21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.029.109) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

№01.72.14.029.109 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.72.14.029.109 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე არეალზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 9 სექტემბრის №18-0121252556 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო არეალზე განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ნაკ. ფიროსმანის ქუჩა №21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.029.109) ნაწილზე და მიმდებარედ სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01212491072-67** განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ

დიღომში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის IV ჩიხი №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.022.192) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 9 სექტემბრის №01212522800 წერილის მიხედვით, მოთხოვნილი ცვლილებით მოხდება ფუნქციური ზონირების ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამება და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) აღნიშნულ მონაკვეთზე ცვლილება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესში დაბრკოლებას არ შექმნის.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01212573511-67 (№01212372328-67)** განცხადებით, ქალაქ თბილისში, მარკ ბრონშტეინის ქუჩა №39-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.002.125) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

№01.11.17.002.125 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ), ხოლო,. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1).

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.002.125) ფაქტობრივი მდგომარეობით განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი და განვითარებულია საცხოვრებელი ზონის (სზ) ფარგლებში.

ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვისა და მოთხოვნილი სახით ზონის ცვლილების შემდგომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში დარჩენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით ხორციელდება №01.11.17.002.125 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მის ჩრდილოეთით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზღვრამდე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, მარკ ბრონშტეინის ქუჩა

**სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01212172195-67; №01212491072-67 და №01212573511-67 (№01212372328-67)**

განცხადებებთან (სულ: 3 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:**

**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 16 სექტემბრის **№12-032125922-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01212172195-67; №01212491072-67; №01212573511-67 (№01212372328-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 16 სექტემბრის **№12-032125922-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01212172195-67; №01212491072-67; №01212573511-67 (№01212372328-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 20 სექტემბრის №12-032126324 -03 წერილი)

**დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა.**

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 სექტემბრის №21.1307.1468 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - №01212072912-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212561640); №01211382040-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212582216); №012120018-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212582198); №01211194241-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212531120)).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01212072912-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212561640) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №6, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი: 08/067) არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.289; №01.14.06.008.310; №01.14.06.008.309; №01.14.06.008.067) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №6, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი: 08/067) არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.289; №01.14.06.008.310; №01.14.06.008.309; №01.14.06.008.067) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №408 განკარგულება საპროექტო ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) სპეციალური ზონა 2-ით (სპეც-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №6, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი: 08/067) არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.289; №01.14.06.008.310; №01.14.06.008.309; №01.14.06.008.067) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მიმდებარე ტერიტორიაზე, სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) სპეციალური ზონა 2-ით (სპეც-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01211382040-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212582216) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.21.06.859; №81.21.06.906) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის №1589 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №418 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.21.06.859; №81.21.06.906) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№012120018-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212582198) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.02.009.032; №01.14.02.009.033) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

"ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.02.009.032; №01.14.02.009.033) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №417 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.02.009.032; №01.14.02.009.033) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

ცვლილებას, ასევე, ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენაც.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01211194241-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212531120) განცხადებით**, ქალაქ თბილისში, კრწანისის I ჩიხი №2ა; ქალაქი თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №01.18.06.018.053; №01.18.06.018.053) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქალაქ თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ქალაქგეგმარებითი პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 2 დეკემბრის №20/709 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №420 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კრწანისის I ჩიხი №2ა; ქალაქი თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №01.18.06.018.053; №01.18.06.018.053) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

**სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01212072912-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212561640); №01211382040-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212582216); №012120018-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212582198) და №01211194241-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212531120) განცხადებასთან (სულ: 4 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 20 სექტემბრის №12-032126324-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01212072912-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212561640); №01211382040-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212582216); №012120018-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212582198); №01211194241-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212531120)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 20 სექტემბრის №12-032126324-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01212072912-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212561640); №01211382040-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212582216); №012120018-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212582198); №01211194241-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01212531120)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას..

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 23 სექტემბრის №12-032126621-03 წერილი)

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 22 სექტემბრის №21.1324.1504 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01212593473-67).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი - **№01212593473-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №15ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.04.030.048) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მულტიფუნქციური შენობის (საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო და ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურების ფუნქციის) ასაშენებლად. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივ ფუნქციებთან ერთად საცხოვრებელი ფუნქციის შეტანა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 20 სექტემბრის №61-01212634500 წერილის მიხედვით №01.14.04.030.048 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გაცვლის ფორმით პრივატიზებულ ქონებას, რომლის საბაზრო ღირებულებამ გაცვლის მომენტისთვის, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 6 მარტის №001601620 ექსპერტის დასკვნის შესაბამისად შეადგინა 1 885 377 (ერთი მილიონ რვაას ოთხმოცდახუთი ათას სამას სამოცდაჩვიდმეტი) ლარი.

აღნიშნული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება იმ დაშვებით, რომ მიწის ნაკვეთის ფუნქციურ ზონად განსაზღვრულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

2021 წლის 13 სექტემბრის №006445621 ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, შეადგინა 6 231 246 (ექვსი მილიონ ორას ოცდათერთმეტი ათას ორას ორმოცდაექვსი) ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს №01.14.04.030.048 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება იმ შემთხვევაში, თუ უძრავი ქონების მესაკუთრის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრულ ვადაში გადახდილი იქნება ფასთა შორის სხვაობა - 4 345 869 (ოთხი მილიონ სამას ორმოცდახუთი ათას რვაას სამოცდაცხრა) ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №15ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.04.030.048) სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია ფასთა შორის სხვაობის გადახდის პირობით. ფუნქციური ზონის ცვლილება ძალაში შევიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ამოქმედებიდან 1 (ერთი) წლის ვადაში ფასთა შორის სხვაობის გადახდისთანავე.

**სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01212593473-67 განცხადებასთან (სულ: 1 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

**სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:**

**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 23 სექტემბრის **№12-032126621-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01212593473-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 23 სექტემბრის **№12-032126621-03** წერილით წარმოდგენილი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01212593473-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ლევან ჯაფარიძე